№ 170. 13 აგვისტო, ოთხშაბათი. 1866—1880 13 აგვისტო, ოთხშაბათი. № 170.

რედაქცია

[illegible] თავში მარცხნივ თ. ლ[illegible] სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების“ „ივერიის“ რედაქციაში. გარე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი, „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

ერთი სტრიქონი პეტიტით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით [illegible] ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასო-ზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და [illegible] დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუ-ბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებ-ზედ.

თავადი პეტრე აბესალომ მის ძე ბებუთოვი გულითადის მწუ-ხარებით აუწყებს თავის მეუღ-ლის კნეინა ეფემია დავითის ასულის ბებუთოვის გარდაცვა-ლებას და სთხოვს ნათესავებსა და ნაცნობებს, რათა მობრძანდნენ ოთხშაბათს, 13 აგვისტოს, დი-ლის 10 საათზე ხოჯი-ვანქის ეკ-კლესიაში, ავლაბრის სასაფლაო-ზე, მიცვალებულისთვის რიგის ასასრულებლად.

1 აგვისტოდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ღირს ოთხი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

# ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 11 აგვისტოს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია: უმაღლესის კომმისიის მოხსენების შემდეგ, პოლიტიკურ დამნაშავეთა და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ პირების ცნობათა გადახედვა შინაგან საქმეთა მინისტრს აქვს მინდობილი. პოლიტიკურ დამნაშავეებისა და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ პირების რიცხვი მთელს რუსეთში არის. სულ 1696; ამათში უმაღლესმა კომმისიამ აგვისტოს ათამდინ გაანთავისუფლა 115; 30 ამათგანს უნივერსიტეტში შესვლისა და სწავლის გაგრძობის უფლება მიეცა.

## თევზის გაწყვეტა და ახალი წესები

ტფილისი, 12 აგვისტოს.

ამ ზაფხულს თან და თან ჩნდება ჩვენს მტკვარში თევზეულობა და იმედია ამ წელს წინა წლებზე თან და თან გამრავლდეს. ჯერ გასასყიდათ ბაზარში თითქმის არა ჩანს, რადგანაც ზაფხულის თვეებში, ქვირითის დების დროს, კანონით თევზის ჭერა აკრძალულია. აკრძალულია იმ აზრით რომ თევზი გამრავლდეს და არ გამოილიოს.

ჩვენში უკანასკნელ ხანებში წყლები თითქმის დაიცალა თევზისაგან. მიზეზი პირველი ის იყო რომ დიდ წყლებში, მტკვარში, არეზში (არაქსში) და სხვებში მოიჯარეებმა შემოიღეს რკინის კონი (ზაბოიკა); მთელს წყლებსა ჰკრავდნენ, თევზს ამწყვდევდნენ და არც ზემოთ უშვებდნენ და არც ქვემოთ; ქლეტდნენ საშინლათ მრავალ' უწყალოთა. ისე გაწყდა თევზი, რომ, არამც თუ არაგვში თფილისთანაც კი ორაგული ვერაღ ამოდიოდა. რადგანაც ორაგული ქვირითს არაგვში და მტკვრის სათავეში გრილ, აღგილებშისდებს, ამოსვლელობით რასაკვირველია, გაწყდებოდა თევზი თითქმის მთელ კავკასიის წყლებში.

ჩვენი თევზის მოიჯარეები გამდიდრდნენ, ხალხი უთევზოთ შეიწროვდა და სახელმწიფო შემოსავალი, იჯარის ფულიც კონკილაზე იყო, უნდა შემცირებულიყო.

ამის გამო მმართებლობამ აკრძალა კონის (ზაბოიკის) გამართვა, ასე რომ მოიჯარადრეებს გაღმით ნაპირიდამ და გამოღმიდამ წყლის მესამედის შესვლამდის შეუძლიათ თევზის დასაჭერი იარაღები იხმარონ. მაშასადამე შუა წყლის მესამედი ნაწილი სრულებით თავისუფალია და თევზს გზა აქვს ზღვიდგან ამოსვლისა სათავემდის და უკანვე დაბრუნება ქვირითიდამ გამოსვლის შემდეგ.

წრეულს ახალის წესით მიეცა იჯარით ბატენილ-ხიდამდის ტკვარი ზღვიდგან მოყოლებული 29 ნაწილად დაყოფილია და თითო მოიჯარადრეს ორი წილის აღების მეტი არ შეუძლია. ერთი ნაწილის შუა ცარიელი ადგილებია ასი საჟენი დარჩენილი, რომელშიაც აკრძალულია დაჭერა. მეტე თევზის გასამრავლებლათ არის, რომ ბინა გაიჩინოს. ამას გარდა დასაჭერი იარაღები, ბადეები, ფაცრები და სხვა ისეთის ზომისა უნდა იყოს, რომელიც დამტკიცებულია მმართებლობისაგან. იარაღები იმ გვარია, რომ წვრილი თევზი ბადეში არ დარჩეს და გავიდეს.

ამ კანონებს გარდა, რასაკვირველია საზოგადო კანონებიც არის რომ ქვირითის დების დროს თევზი არ დაიჭირონ. წყლებზე იჯარადრების მოქმედებისა და თევზის დაჭერის ზედამხედველობისათვის გამგებლობა არის დანიშნული და ყარაულები იქნებიან. წესის დარღვევისათვის დიდი ჯარიმაა დადებული და იჯარადარს ჩამოერთმევა იჯარაცა.

საქმე იმაზეა ახლა, რომ გამგებელმა და მოხელე კაცებმა დებულება კარგათ აასრულონ.

იმედი არის, რომ ახილის წესის ნამდვილად ასრულებით თევზი გამრავლდეს და ხალხს ერთი სახსარი რჩენისა არ მოაკლდეს. ამას გარდა სახელმწიფოსაც შემოსავალი მოემატება. ამ ჟამად, როგორც ამბობენ, მომატებული ნაწილები იჯარადრებს აუღიათ; დარჩენილა ცოტაღა.

ჩვენ წვრილ წყლებში თევზი, რასაკვირველია, საიჯარო არ გახდება და ამიტომ საკუთარი წესების დადგენა იქნება არ იყოს საჭირო, მაგრამ ხალხმა კი უნდა იცოდეს, რომ კონის გაკეთება და წყლების შეკვრა თევზის დაჭერისათვის ძალიან საზიანოა. თევზი ფრთხება და არამც თუ იმ ახლო-მახლოს აღარა ჩნდება, მთელს იმ წყალსაც თავს ანებებს და სხვა წყლებში მიდის.

მეორე დიდი უბედურობა ქვირითის დაყრის დროს დაჭერაა. ჯერ იმიტომ რომ, თუ ქვირითი არ დაყარა, თევზი საიდამღა გამოვა. მეორეთ თევზი სამშვიდობო ადგილს ეძებს: როგორც ყოველი სულდგმული თავის ჩამომავლობის ზრუნვაშია, კარგი მშვიდობიანი ადგილი უშოვოს და თვითონაც დამშვიდებული იყოს ქვირითის ან კვერცხის დების ან მშობიარობის დროსა.

ჩვენი წყლები თევზეულით და ტყეები ფრინველეულით ადრე სავსე ყოფილა და ახლა ამიტომ დაიცალა, რომ ხალხი არ უფრთხილდება, დროთი და უდროოთ ქლეტავს, შებრალება და ანგარიში არ იცის და ბოლოს შესაბრალისი თვითონა ხდება თავის უანგარიშო უაზრობისაგან.

# ფელეტონი

## მადნის წყლებიდამ

კავკასიის მადნეული წყლები და მისი მოურავი (კონტრ-აგენტი. ა. მ. ბაიკოვი.—აწმყო მდგომარეობა წყლებისა და მომავალი იმედი გაუმჯობესობისა.—რიცხვი მომსვლელთა და მოთავსება მათი.—ნაღდი შემოსავალი ხარჯს გარდა.—ადგილობრივი ადმინისტრაცია.—ყაზახის ერთი სოფნა წესიერების დასაცველად.—ყაჩაღობა.

ბევრი რამ თქმულა ბაიკოვზედ და აქაურს სამკურნალო წყლებზედ, როგორც „დროებაში“, ეგრეთვე სხვა-და-სხვა რუსულს გაზეთებშიაც; მაგრამ „მგლის თავზედ სახარებას კითხულობდნენ—ისევ ხევრე-და-ხევრეო!..“

მაგრამ სადაც ბევრი თქმულა, ეს ცოტაც იქ იყოს:

როგორც მოგეხსენებათ, კავკასიის მადნეული სამკურნალო წყლები და მათი თვისებაები, ეს წყლები მთელს დედის-მიწის ზურგზედ ერთს საუკეთესო სამკურნალოს შეადგენს. მეცნიერი ფრანცუზი ჟულ-ფრანსუა ალტაცებაში იყო ამ წყლების გამოკვლევის დროს და პარიჟში დაბრუნების შემდეგ გამოსცა ბროშურა, რომლითაც ამტკიცებს ამ წყლების სხვებზე უპირატესობას.

მაგრამ ცარიელი უპირატესობა ვერ დააკმაყოფილებს ავათმყოფების მოთხოვნილებას, თუ სხვაფრითაც არ გააუმჯობესა კაცმა,—მაგალითად: სიმრავლე აუზებისა, სადგომი ბინა, წესიერებისა და სხვ... ესენი, რასაკვირველია, ყველა სახეში მისაღებია და არა მგონია, აქნობამდის ვერ იყვნენ მიხვედრილნი, ვისდამი ჯერ არს ყურადღების მიქცევა!?.. მაგრამ...

ბაიკოვს ორი წელიწადი-ღა დარჩომია პირობის ძალით; პირობებშიაც სხვათა შორის ასე სწერია: „ვალის (ვადის) შესრულების შემდეგ ვინიცობაა სხვა მოქიშპე გამოჩნდა ვინმე და ბაიკოვი არ იქნება წინათვე შემჩნეული თავის უხეირო გამგეობით, მაშინ პირველი უფლება ისევე ბაიკოვისაა, თუ თავის ნებით არ გამოაცხადებს უარსა და სხვ...“

აქაური წყლები რა მდგომარეობაშიაც ყოფილან და მინახავს ამ რამთვენიმე წლის წინ, ეხლაც ისევე იმ მდგომარეობაში არიან. ეტყობა ამ საგანზედ თერგის თემის უფროსს დიდი ყურადღება მიუქცევია და კიდევაც „გამოიცა“ ბროშურა ამ უფროსის სახელობაზედა... მე ვერ ჩავიგდე ხელში წასაკითხათ და ეს კი ვიცი, რომ ამ ბროშურას გაუჭრია მთავრობის წინ: ბატონი ავტორი მიბრძანდა ამ მოკლე ხანებში სამზღვარს გარეთ იმ განზრახვით, როგორც ამბობენ, რომ დაათვალიეროს იქაური მადნის წყლების გამართულობა და შემდეგ აქაურიც ისე გადააკეთონ.

ამ საგნისათვის, ამბობენ, ვითომც ოთხი მილლიონი არის მთავრობისაგან დანიშნულიო: რკინის გზა უნდა გაიყვანონ სადაც საჭიროება მოითხოვს, ახალი შენობები მომსვლელ ავათმყოფთათვის და სხვ. და სხვ. სად იყვნენ აქნობამდისინ!?. უხაროდეს ბაიკოვსა თუ მართლა განხორციელდა ეს განზრახულობა.—

საკვირველია, რატომ კერძო პირთ

# ახალი ამბები

წლევანდელი სახლის ამშენებლები სჩივიან, რომ როგორც ოსტატები და მუშები, აგრეთვე ყოველგვარი მასალა წელს ერთობ ძვირია: უბრალო მუშას მანეთ-ოთხ აბაზ ნაკლებ ვერ იშოვით, ოსტატი ორ-და-ათ შაურად, სამ მანეთად, ათასი აგური თხუთმეტ-თექვსმეტ მანეთად ფასობს. ეს სიძვირე არის იმის მიზეზი, რომ წელს კვლავინდელზე უფრო ნაკლებად შენდება ჩვენს ქალაქში ახალი სახლები.

***

გაზ. მშაკი გვაცნობებს, რომ თფილისელ სომხებმა სტამბოლის პატრიარქს ნერსესს ადრესი გაუგზავნესო და მოწამვლისაგან მშვიდობით გადარჩენა მოულოცესო.

***

ამავე გაზეთში დრო-გამოშვებით იბეჭდება ხოლმე სია იმ პირთა, რომელნიც მცირე აზიის დამშეულ სომხებისათვის სწირევენ ფულს. დიდის სიამოვნებით ვნიშნავთ, რომ ამ შემწირველთა სიებში ხშირად ქართველებიც არიან მოხსენებულნი. კარგი ძმობა გაჭირებაში გამოჩნდება..

***

ამბობენ, რომ საქართველოს კათოლიკეების გამგებლად სომხის კათოლიკის ეპისკოპოზი დაუნიშნავთ.

***

დიდი ხანია ბათომში მოელიან ქუთაისის ოკრუჟნოი სუდის განყოფილებას, მაგრამ აღარ იქნა და არ ეშველაო. სისხლის სამართლის საქმეები შეყენებულია ამის გამო, ზოგი ტყუილად ციხეშია დამწყვდეული, ზოგი თავდებით გაშვებულია. თავდებით გაშვებული ზოგი ავი კაცია და ხალხს ძალიან აწუხებს. ამ მიზეზით ხალხში ხმაა დავარდნილი რომ ავკაცს, სოფლის მტერს ისევე უშვებენ და ჩვენვე გვიგზავნიანო; ხალხს სულ განთავისუფლებულები ჰგონია. ესევები და სხვა კიდევ ბევრი გარემოება ვგონებთ ქუთაისის ოკრუჟნი სუდმა დროა მხედველობაში მიიღოს.

***

სომხურ გაზეთს „მეღუს“ ახალციხიდამ სწერენ, უეჭველია იქაური სომეხი კორრესპონდენტი და „კავკაზშიაც“ დაბეჭდილია, რომ აჭარლები უკანვე დაბრუნებულან და ავაზაკობის შიში გვაქვსო. ეს სულ ტყუილი ჭორია. ახალციხის მოსაზღვრე ზედა-აჭარაა და იქიდამ ნამდვილათ ვიცით არავინ გადასახლებულა. ეტყობა ახალციხელ სომხებს სწყენიათ აჭარლების დაბრუნება, რადგან ეგონათ ბურთი და მოედანი ახალციხიდამ ბათომამდი ჩვენ დაგვრჩება და ჩვენს ავაზაკურ ვაჭრობასაო. მაგრამ განათლებულ კორრესპონდენტს თუნდ მართალი ეგონოს, თუ გონების თვალი აქვს თავის თანამოქალაქე აზრუმიდამ გადმოსულებისთვის აჭარლების დაბრუნება თავის მამულში სამაგალითოდ უნდა ეჩვენებინა და ყოველ პატიოსან კაცის თანაგრძნობის ღირსად.

მოჰყოლიან, ბატონო და აჭარლებს ავაზაკობას აბრალებენ, როდესაც რომ აჭარის კაკლის ჯირკვები, ერბო და ყველი და სხვა მოსავალი მუქთათ უნდათ. ათასში ერთხელ თუ რამე შემთხვევა მოხდა, ისე ხდება როგორც თვით ქალაქში და ბევრგან. თუ სწორე გნებავთ, ახალციხის უეზდში ნამდვილი ავაზაკები მოსულს აზრუმელ ვაჭრებს უნდა დაერქვას, რომელნიც ახალციხის მაზრის ხალხსაც და აჭარლებსაც ფცქვნიან მოსავლის ყიდვაში და სავაჭროს გასყიდვაში. ბათომის მაზრის ხალხს და საკუთრად აჭარლებს სახელს უტეხენ ტყუილად და უსამართლოდ, ხალხი ისეთივე პატიოსანია, როგორც ჩვენი ქართლელები, კახელები, გურულები; ნამდვილი გურულები არიან; და თუ ავები ურევიან, ავი კაცი ყველგან არის. ზედა-აჭარაში ყველაზე ნაკლებია.

***

ბათომის მაზრიდგან გურიაში ხალხი ამ უკანასკნელ დროს მიდის და მოდის სავაჭრო საქმეებზე და რასაკვირველია ბევრს ცხენი ჰყავს. გურიაში კარგა ხანია დაწესებულია რომ ცხენით მოსიარულეს ბილეთი უნდა ჰქონდეს ცხენისათვის ქობულეთში და აჭარაში ჯერ ეს ბილეთები არ შემოუღიათ და მაშასადამე იქაურებს გურიაში გადასულებს ბილეთი არ უნდა მოეთხოვოს. ჩვენ კი გვესმის რომ ბილეთებსა სთხოვენ, აყენებენ ხალხსა, ტყუილათ აცდენენ. ამასთანავე მამასახლისები ცხენის პატრონს აჭარელს ან ქობულეთელს ჯერ ვითომც აჩერებენ, მერე კი ფულს ართმევენ და ისტუმრებენ. ერთის სიტყვით ფულის რთმევა გურიის სოფლებში მამასახლისებს ხელობათ გაუხდიათ. ყურადღების ღირსია რომ გურიის უეზდის მთავრობამ მამასახლისების ბოროტ-მოქმედებას ბოლო მოუღოს და ახალი შეძენილი ძმები არ შეაწუხებინოს. აგრეთვე საჭიროა რომ ქობულეთში და სხვა მაზრებში თუ მართლა ბილეთი შემოუღიათ ეს ამბავი ყველა სოფლებში გამოაცხადონ და ბილეთი დაუბრკოლებლათ და უფასოთ მისცენ, თორემ ბევრი უსიამოვნება მოჰყვება.

***

თავის დღეში ისეთი სიძვირე ხილეულობისა და ბოსტნეულობისა არა ყოფილა, როგორც წრეულ არის. ჩვენში ამ დროს ხილს ხორაგეულობაში დიდი ადგილი უჭირავს, რადგანაც ღარიბი ხალხი თითქმის მარტო ხილზე და პურზე ატარებს. ქიტრი წრეულს შაურათ ხუთზე მეტი არ გაყიდულა, პატარა ნესვი ამ ჟამათ ორ შაურზე ნაკლებ ძნელათ იპოვება, საზამთრო აგრეთვე, მსხალი და ვაშლი მდიდრების საჭმელი გამხდარა; ფრანგული (ვაშლი) ბადრიჯანი გირვანქა სამ კაპეიკათ არის, ოთხი სიმინდის ტარო შაურათ. ჩვენ სოფლებში ისეთი ადათი რომ ყოფილიყო როგორც სხვა ქვეყნებშია, სოფლის ხალხიც სარგებლობასა ნახავდა და ქალაქისაცა. სხვა უცხო მხრის ქვეყნებში ხორაგეული გატანა სოფლებიდამ ასე იციან: ერთ სანდო კაცს ყველა გლეხები ვისაც გასაყიდი რამა აქვს რომ არ მოსცდნენ სიარულზე, ერთ სანდო კაცს ირჩევენ წონით ან არწყვით აბარებენ ქალაქში ჩასატანათ. ამ ერთ კაცს ჩააქვს ახლო ქალაქში, თუ ეჭირება ამხანაგსაც წაიყვანს, გაჰყიდის, წასა[illegible] მოვა და დანარჩენს ფულს გლეხებს მოუტანს. ესენიც თავის წილ ხორაგეულობის კვალობაზე იღებენ თავის წილ ფულსა. ჩვენებურათ ათი კვერცხისთვის და ხუთ გირვანქა დოსთვის, ან ერთ ტიკ ღვინისთვის კი არ სცდებიან თავის საქმესა.

***

გამოვიდა სომხური ჟურნალის „ფორცის“ მეექვსე და მეშვიდე ნუმერი ერთ წიგნად. შინაარსი: I, „შაგენ“—მოთხრობა პროშიანცისა. II. „ახალციხიდამ ანამდე“—ბ. ქეგამიანის. III. „მოსწავლე“—ლექსი ქამარ—ქათიბისა. IV. „მოგზაურობა თეოფილ ტეიროლისა ლაზისტანში და სომხეთში“. V. „ქორწილი სომხეთის საეკკლესიო კანონდებულებით“—ვ. ბასტამიანცისა. VI. „შიმშილი და მისი შემდეგი.“ VII. „რა მდგომარეობაშია სომხური სალიტერატურო ისტორია“—ბრიჩისა. VIII. „რამდენიმე სომეხია ოსმალოს სომხეთში“—ა. ერიციანისა. IX. „დღიური.“ X. „წინადადება.“ XI. „სომხური წიგნების გამავრცელებელი ტფილისის საზოგადოების პროტოკოლები.“ XII. „ვანის დამშეულთათვის შეწირულობის სია“. XIV. „ჰეკტორ ფიერმოსკა“—მაქსიმო დ' აზელიო (თარგმანი) მოთხრობა.

***

ჩვენ მივიღეთ დ. ხონიდამ შემდეგი შენიშვნა:

„ქუთაისის უეზდის უფროსისაგან მრავალ ჯერ იყო გამოცხადებული, რომ საზოგადოებას ეპოვნა ისეთი საშუალება, რომლითაც დაეცვა ხალხი ქურდობიდგან. შესახებ ამისა ამ უკანასკნელ დრომდე მხოლოდ სიტყვა არსებობდა; ახლა კი ყოველ საზოგადოების მამასახლისებს მოუვიდა ბრძანება, გააკეთონ თავიანთ საზოგადოებაში ქურდობის საყარაულო კარავები, რომლებშიაც უნდა იქმნენ ყოველ ღამ სოფლიდამ გამოყვანილი თითო კარავში ოთხ ოთხი კაცი ყარაულად.

„ეს ბრძანება მაზრის უფროსისა საზოგადოების მამასახლისებმა შესრუ-

---

არ აძლევენ იჯარით; ამბობენ მსურველნი ბევრი არიანო!

წელს რიცხვი მომსვლელ-ავათმყოფთა მიაღწევს ოთხი-ათას-ხუთასამდის; რაც ხანი არსებობს ეს წყლები და ნამეტნავათ ბაიკოვის ხელში, რიცხვი მომსვლელებისა თითქმის ერთი და იგივეა. თუ არ ემატება მოსვლელთა რიცხვი მიზეზი თვით წყლების გამგებელი, სახლის პატრონები და ადგილობრივი ადმინისტრაცია არის.

უმთავრესი ყურადღების ღირსი აქაური შემოსავალია, რომლებიც შესდგება შემდეგის წყაროებიდამ: ყოველი მომსვლელი ავათმყოფი ვალდებულია აქაურის კანონის ძალით აიღოს ბილეთი, რომელიც სამს მანეთად ღირს; უამისოთ არც წყალს დაალევინებენ სამკურნალო წყაროებიდამ და ვერც აუზებში იბანეს. თუ ოჯახობაა ერთად, ბილეთის ფასს ერთი ორათ ახდევინებენ. ოთხი ათას-ხუთასი სამი მანეთი შესდგება—ათას სამას ორმოც-და-ათი თუმანი (13,500 მან.).

პიატიგორსკში საბანებელი ბილეთი ორმოც-და-ათი-ათასამდის გაიყიდება; ვინც სახემწიფო ხარჯზედ იმყოფებიან ოფიცრებთაგანნი, ისინიც ამ რიცხვში იმყოფებიან; თითო ბილეთი ღირს ექვსი შაური—მაშასადამე შესდგება ჯამი ათას ხუთასი თუმანი (15,000 მან.); ჟელეზნოვოდსკში გაიყიდება ოც-და-თხუთმეტი ათას ბილეთზედ მეტი,—ათას ორმოც-და-ათი თუმანი (10,500 მან.); ესსენტუკში გაიყიდება ოც-და-ექვსი ათასზედ მეტი; თითო ბილეთი ღირს ათი შაური,—ათას სამასი თუმანი (13,000 მან.); კისლოვოდსკში ორმოცი ათასამდის ათ-შაურიან ბილეთი,—ორი ათასი თუმანი (20,000 მან.); აქვე თხუთმეტი ათასამდის თითო აბაზიანი ბილეთი,—სამასი თუმანი (3000 მ.);—სულ ბილეთების ფასი შესდგა—შვიდი ათას ხუთასი თუმანი (75.000 მ.).

ამას გარდა პიატიგორსკაში, ჟელეზნოვოდსკაში და კისლოვოდსკაში ესსენტუკის ყოველი ნომრის წყალი გაიყიდება მთელს კურსში ათას ექვსასი თუმნისა მეტი (16,000 მან.); სარეცხის შემოსავალი, ე. ი. ზეწრისა და პირსახოცისა—ათას ხუთას თუმნამდის მეტია (15,000 მან.); შენობების იჯარის ფული და წვრიმალი ვაჭრობის ნებადართვის გადასახადი ექვსას თუმნამდის (6,000 მან.); პიატიგორსკისა, ესსენტუკისა და ჟელეზნოვოდსკის სასტუმრო ნომრებიდამ შემოსავალი—ათას სამას თუმანზედ მეტი (13,000 მან.); წელს მიიღო და ყოველთვისაც ღებულობდა მთავრობისაგან შესაწევარი ფული (სუბსიდია) სამი ათას ხუთასი თუმანი—(35,000 მან.). პიატიგორსკში და ესსენტუკში თვით ბაიკოვს უჭირავს სამზარეულო (კუხნა), თუმცა სახელი სხვისაა, მაგრამ სახრავი კი ბაიკოვისა: აქედამ სასმელ-საჭმელის შემოსავალიც ბლომად არის, ამიტომ რომ ხორაგეული ბაზარში იაფია და ესენი კი ერთი-ხუთად და მეტად ჰყიდიან. ამას გარდა რუსეთის ორმოც-და-ათს სხვა-და-სხვა ქალაქებში ჰყავს აგენტები და უგზავნის აქაურ სასმელ წყლებს, რომლის შემოსავალი ყოველს წელიწადს რიგიანი უნდა იყოს, მაგრამ რადგანაც დაწვრილებით არ ვიცი, სად რამდენს ბოთლსა ჰგზავნის,

ლეს. გააკეთებინეს ხალხს კარვები ყველა გზის ნაპირზედ და ყარაულებიც გამოჰყავთ ყოველ ღამ, რომლითაც ნება ეძლევათ დაიჭირონ ვინც უნდა იყოს ღამით გამვლელი ქვეითი და ცხენოსანი, ვისაც არ ექმნება ბილეთი და ცხენის კანონიერი მოწმობა.

„ეს განკარგულება სწორედ კარგ საშუალებად ჩნდება ქურდობის შემცირებისათვის, ამდენს ხანს ერთი წელიწადი არ გაივლიდა, ერთ ქურდსაც ვერ ვნახავდით დაჭერილს ჩვენს ხონში პოლიციის პრისტავთან წარმოდგენილს, ახლა კი დღე არ გადის, რომ ორი და სამი ქურდი არ წარმოადგინონ ყარაულებმა ან რომელიმე მხრის მამასახლისმა.

„თუ ისე რიგიანად წავიდა საქმე, როგორც ახლა მიდის, ქურდობა სულ არ მოისპობა, შემცირდება მაინცა“.

* * *

ქართლიდამ გვწერენ ხიდისთავის შკოლაზე და შკოლის გამართვისათვის საზოგადოების განაჩენის დაუმტკიცებლობაზე.

ძალიან ვწუხვართ, რომ ჩვენს სოფელს ხიდისთავში შკოლა არ არის. ჩვენც გვეჭირება შკოლა. ჩვენ რომ შკოლა გვქონიყო, ვისწავლიდით რასმეს და ესრე ღარიბები არ ვიქნებოდით და არც ბორის ვაჭრები, რომლების ხელშიაც არის მომეტეული ნაწილი ჩვენი მამულ-დედულისა, გაგვყლეფამდნენ.

მეჯვრის ხევს, ქავთისხევს, და სხვა ქართლის სოფლებს ჩვენი სოფელი ხიდისთავი ვერაფერში ჩამორჩება, მაგრამ აქამომდისინ აქ შკოლა არ არის. ორას კომლამდისინ ვართ, თუ გლეხებს ერთი პირი გვექნება, ხიდისთავში შკოლას მოვახერხებთ. შარშან ბორიდამ გამობრძანდა მაზრის უფროსი, აუხსნა ხალხს სწავლის მნიშვნელობა და აქ სკოლის გახსნისთვის განაჩენი დაადგინა. მაგრამ აგერ ეს ერთი წელიწადია განაჩენი არ დამტკიცებულა, რადგან უკან მდევნელი არავინ გვყავს.

* * *

ფოთიდამ გვწერენ:

ჩვენი ქალაქის კეთილ-დღეობის მზრუნველებმა როგორც იქნა მიაღწიეს ის სიბრძნე, რომ გამომცხვარი პურის ტაქსა მოუკლეს: 1 ხარისხის ღირს 6 კაპ., 2—ხუთი კაპ. და მესამე—ოთხი კაპ., მაგრამ ვაი ამისთანა მოკლებას! აღმოჩნდა იმისთანა გარემოება, რომლის წინააღმდეგ ჯერ ვერაფერი საშვალება ვერ მოუგონიათ: მეპურეებმა დაიწყეს ისეთი საძაგელი პურის ცხობა, რომ გაუჭირებელ კაცს არ ეჭმება. წონის მოუსამართებლათ ყიდიან ცომ პურს, რომლის შემდეგ ბევრს მუცლის ტკივილი და ფაღარათი უტყდება. ძველანი სიამოვნებით იგონებენ იმ დროს როცა პური უფრო ძვირი იყო—კარგი მაინც იყოვო.

იგივე კორრესპონდენტი გვაცნობებს:

„თუ როგორის გულ-მოდგინებით ებრძვიან აქაური პოლიციის გახშირებულ ავაზაკობას ამის ნიმუშათ მოვიყვან შემდეგ ფაქტს: როგორც უკვე მოგეხსენებათ აქ გაქურდეს ერთი ვაჭარი. ფულებთან წაეღოთ ათასოთხასი მანეთის ვექსილები და კიდევ რაღაც საბუთები. გუშინ-წინ ხან დაღამებულს იმ სახლის ეზოში, რომელიც გაქურდეს ვიღაც კაცს გადუგდია მონაპარავი პორტმანი მისთვის უვარგის ვექსილებით და საბუთებით და მოუქუსლავს. პატრონი გაქცეულა იქვე მდგომ პოლიციის პრისტავთან ლ. გ—იასთან, რომ კვალზედ მისდევნოდა დამნაშავეს. დახმარების მაგივრათ ამ ბატონს ეს კაცი ლანძღვით გამოუშვია მე ხომ გამომძიებელი არა ვარო? არ იცი, რომ ეგ ჩემი საქმე არ არისო?

ეს მაშინვე გაეგო პოლიცი-მეისტერს. პრისტავი ძალიან შეეხურებია და სამსახურიდან განთავისუფლებას დაპირებოდა, მაგრამ ამითი, როგორც, „მოგეხსენებათ, ნ—ს არ ეშველება.“

ილ. ჭიჭინაძე.

## მიმართვა

ამ საუკუნის დასაწყისმა ისეთი შავბედითი სამარის სუდარა გადაეფარა ჩვენს ლიტერატურას, რომლის ქვეშ მრავალი ძვირფასი წიგნებიც დაგვეკარგა და მწერლების შრომამაც უქმათ ჩაიარა.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისამდე ჩვენში წიგნებს ძალიან ფაქიზათ ინახავდნენ: ყოველი კაცი იმას ცდილობდა, რომ თავის შთამომავლობისთვის დაუხეველი და გაუფუჭებელი წიგნები გარდაეცა და იმასაც კიდევ თავის შთამომავლობისთვის. ეს თითქმის სამღვთო ვალათ მიაჩნდათ.

მაგრამ ამ საუკუნეში სულ სხვანაირათ შეიცვალა ესა და მრავალი სხვა-და-სხვა წიგნებიც დაგვეკარგა. ერთი ამ მრავალთაგანი არის წიგნი „დილარგიანი“, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში დაიწერა და რომელსაც იმდენი შავი დღეები დაადგა, რომ მგონი არც ერთს წიგნს არ უნდა ენახოს. ამბობენ, სხვათა შორის, რომ „დილარგიანი“ მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ზეპირგარდმონაცემით დაიწერაო.

ამ წიგნს გარდა წარსულს საუკუნეშივე დაიკარგა საბა სულხან ორბელიანის „ევროპაში მოგზაურობა“, რომლის ბოლოც 1852 წ. ჟურნალს „ცისკარშია“ დაბეჭდილი, თავი კი აკლია. უეჭველია, რომ მოგზაურობის დასაწყისში აქედამ მისი წასვლის მიზეზიც იქნება მოხსენებული. ამას გარდა აღარსად სჩანს კათალიკოზი ანტონ პირველი შემოკლებული საქართველოს ისტორია. აღარსადა სჩანს პოემა „ხავანე გმირთა“, რომელზედაც ერთ დროს გაზეთებშიაც იყო ლაპარაკი და პ. იოსელიანიც სწერს ერთს თავის ბროშურაში, რომ მე და გიორგი ერისთავმა წავიკითხეთო.

დაკარგულია „საულ-დავითიანი“, რომელიც აგრეთვე პლ. იოსელიანი იხსენიებს, „ჩინეთის სიბრძნე“, ამბროს ნეკრესის ეპისკოპოზის ქადაგება, რომელიც მხოლოთ ამ უკანასკნელს ჟამს მოინახა გ. ზალიკანოვის ხელში და ახლა ყოვლად-უსამღვდელოესს ალექსანდრე ეპისკოპოზს აქვს. ყველგან პატივცემულმა ეპისკოპოზმა ალექსანდრემ შარშან გამოცემაც გადაწყვიტა ამ წიგნისა და ამისთვის უნდა მოეთხოვნა ის ფული (200 მან.), რომელიც 1878 წ. სემინარიის სამართველოში შეიტანა და რომელიც დღევანდლამდის იქ ინახება უნაყოფოდ. კარგი იქნება, რომ ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ ეს ერთად-ერთი ეგზემპლიარი ხელთ-ნაწერი მალე დაბეჭდოს, რადგან ამის მსგავსი ქადაგება ქართველებს მთელის წარსულის დროებიდგან არაფერი გვაქვს დარჩენილი.

ამ წიგნებს გარდა ბევრი სხვა და სხვებიც დაიკარგა, მაგრამ რომელ-ერთი მოთვალოს კაცმა. ზოგიერთ დაკარგულ წიგნებზე ცნობები მაინცა გვაქვს, მაგრამ ამ ზემოხსენებულებზე კი სრულებით არაფერი.

ამ დღეებში იარმუკაში ვიყიდე ერთი ქართული ფიზიკა, რომლიდამაც სჩანს, რომ ის გადმოწერილია მეცამეტე საუკუნეში დაწერილის ხელთ-ნაწერიდამ.

ამის გამო ვითხოვთ, რომ თუ ვისმეს რამე ამ გვართაგანი წიგნი მოეძებნება, წარმოადგინონ „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, საიდამაც შემდეგ დაუბრუნდებათ.

ზ. მთაწმინდელი.

# უცხოეთი

**წვრილი ამბები.** გაზეთს *Daily News*-ს გაუგია, რომ სტამბოლიდამ ოსმალოს მმართებლობის ნებართვით ინდოეთში გაუგზავნია მრავალი დაბეჭდილი მიმართვა იქაურ მაჰმადიანებისადმი, რომელთაც მოიწვევენ ინგლისის უღლის წინააღმდეგ ასაჯანყებლად.

—

რომიდამ „ჰვასის სააგენტოს“ აცნობებენ: „ინგლისს წინადმდება მიუცია სახემწიფოებისათვის რომ ოსმალეთს ხელ-ახლავ წარვუდგინოთ საერთო ნოტა საბერძნეთის საზღვრის

---

ამისათვის რაოდნობა ფულისა არ მომყავს.

ამ უკანასკნელი ორი საგნის, ე. ი. სამზარეულოსი და ქალაქებში წყლით ვაჭრობის შემოსავალი და ამასთან ორი ათასი თუმანიც რომ წინანდელ საგნების შემოსავლიდამ მივიღეთ ზედ, რაც ხარჯი არის მთლათ დაჰფარავს და არცკი მოუნდება,—მაშინ ნაღდი ფული ბაიკოვსა რჩება ას-ორმოცი ათასი მანეთი (140,000 მან.). მაგრამ როგორც ზოგი-ერთნი ამბობენ, ვითომც ვიღაც-ვიღაცა გამკრავ-გამგლეჯლები ჰყვანანო ბაიკოვს... აქაურობა რომ კარგათ გამართონ და სვინდისიანათ წაიყვანონ საქმე, ნახევარ მილიონ მანეთზეო ნაკლები შემოსავალი არ იქნებაო.—

ზემო აღნიშნულ შემოსავალს გარდა არიან კიდევ სხვა და სხვა წვრიმანი წყაროები როგორც მაგალითად: კომისით ვაჭრობა, თხის რძით, შემოსავალი სატანცაო სალამოებიდამ და სხვ...—

ადგილობრივ ადმინისტრაციას შეადგენენ: კამენდანტი, კომმისარები მთავრობის მხრით, პიატი-გორსკში პოლიციი-მეისტარი თავისი პრისტავებითურთ და ერთი სოტნა ყაზახები კურსის დროს წესიერების დასაცველათ. ამათ შესახებ საზოგადოთ ბევრი რამ არის სათქმელი, მაგრამ ქვას ქვეშ ამოვსდევათ ამათი თავი. მხოლოდ ამას კი ვიტყვი, რომ საცოდავი ყაზახები არიან შესაბრალისნი, ამათი დანიშნულება სამსახურისა სხვა არის ხოლო აქაური ადმინისტრაცია კი სხვა-ფრივ განაგებს...

სხვათა-შორის პრავალზედ ორი ყაზახია დანიშნული, იქ ერთი ბაიკოვის დახლიდარი ქალი იმყოფება, ერთი და მეორე კი ჭურჭლის რეცხვას უნდება, თუმცა ამათმა აფიცრებმა ბევრჯელ შენიშვნა მისცეს და მოახსენეს ვისაც ეკუთვნოდათ, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია და ამ ორივე ყაზახებს ცხენები დაჰპარეს, ყაზახები თითონ ღარიბი არიან და ცხენები კი უეჭველათ უნდა იყიდონ.—მეტი ილაჯა არა აქვსთ ან უნდა რქიანი საქონელი გაყიდონ, შინ თუ აბადიათ, და ან არა და როგორც იყოს უნდა შეიძინონ და იყოლიონ ცხენები. ყაზახი, როდესაც სამსახურშია, გარდა ჯამაგირისა და პურისა დანარჩენი ცხენიდამ დაწყობილი იარაღი და ტანისამოსი თავისის საკუთრებით უნდა გაიწყოს, ის ვიდრე თხუთმეტი წელიწადი სამსახურს შეასრულებდეს.

ეს ყაზახები რომ გზებზედა ჰყვანდეთ დაყენებული, მაშინ ყაჩაღობა ისე არ იქნებოდა, როგორც ეხლაა. მანამ ღენერალი საფიანო არ გაცარცვეს გზაში მანამ ყურადღება არავინ მიაქცია ამ საგანს, თუმცა წინათ მაგალითებიც ბევრი იყო. ვინ გაცარცვა საფიანო ღმერთმა იცის; თუმცა ჩერქეზებს აბრალებენ, მაგრამ „მგელს მგლობა ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდოვო!“ ეს კიდევ კარგი რომ არავისა ჰკლამენ და მხოლოდ გაცარცვასა ჰსჯერდებიან. რასაკვირველია, ამისთანა უხეირო განკარგულობა აქაურის ადმინისტრაციის მხრიდამ და რამთვენიმე მაგალითი გაცარცვისა დაათრთხობს სამუდამოდ მომსვლელებს.—

გ. გრუშელი.

შესახებო. დანარჩენ სახელმწიფოებს ეს წინადადება არ მიუღიათ, რადგანაც ჰგონებენ რომ ამ ნაირის ნოტის შემდეგ მაიძულებელი საშვალების ხმარება იქნება საჭიროვო. ს ფიქრებელია, რომ სახემწიფოთა შორის ხანგრძლივი დიპლომატიური მიწერ-მოწერა გაიმართება, რომ ბოლოს არის მაინც შეეთანხმნენ ერთმანეთს და რითიმე მაინც დასკვნან ეს საქმე.“

—

საფრანგეთის გზების მინისტრს ფრეისინეს პასუხი მიუღია მუშების დეპუტაციისათვის, რომელშიაც სხვათა-შორის უთქვამს;

„ვიშრომოთ მშვიდობიანობის დაცვისათვის, რომელსაც ჩვენდა სასიხარულოდ არა-ვითარი შიში არ მოელის; რადგანაც ის არის საუკეთესო დამცველი საყოველთაო თავისუფლებისა.“

აფიცრებისათვის უთქვამს:

„რასაკვირველია, თუ ვინიცობაა თქვენი დახმარება საჭიროდ დარჩა კვლავაც ისე გმირულებრ გამოიჩენთ თავს როგორც უწინ. საფრანგეთი ამპარტავნებით შესცქერის თავის მხედრობის გაუმჯობესობას, რადგანაც ის არის მისი პატიოსნების და თავისუფლების უმტყუნარი და ერდგული დარაჯი.“

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრ საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუზარიანცი—ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეისი—თვალისა, ბაბოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., გერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, პომერანცოვი—გულის.

**ხუთშაბათს:** ჟურავლევი—ყელისა და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუზარიანცი—ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., გერმიშევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი—ხირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების. ბაბოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეისი—თვალის ბაბოვი—გულისა და შიგნეულების და გერმიშევი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბაბაევი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი)

დოქტორი ჟურავლევი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ობრესტი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპექ., შარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.


# განცხადებანი

—

**ტფილისის ქალაქის სასწავლებლის კომიტეტი** მოიწვევს მასწავლებლობის მსურველთ პირველ-დაწყებითი სკოლის სამს განყოფილებაში და სახელოსნო სასწავლებლის ამდენსავე განყოფილებაში.

მსურველთ თავიანთი სურვილი უნდა განუცხადონ ქალაქის გამგეობის სადგომში ქალაქის სეკრეტარს ყოველ დღე 12 საათიდამ 2-მდე. განყოფილებანი სამად იყოფება: ერთი რუსული, მეორე ქართული, მესამე სომხური, და თითო მათგანში სწავლა დედა-ენაზე უნდა იყოს.

(3–1)

**მივიღეთ** დიდ-ძალი **ჩაი** პირ-და-პირ პლანტატორებისაგან—**ინგლისის მაღაზიაში.**

იქვე იყიდება წყურვილის ციტრატ-მაგნეზია, კარბოლის აბები და გადამდები სენის წინააღმდეგი წამალი.

(10–1)

## ინგლისის მაღაზია

*Maison de confianse*

შავდარჩეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

| | | | |
|---|---|---|---|
| — — | —1—20 | — | —1—60 |
| — — | —1—40 | — | —1—80 |
| — — | —1—60 | — | —2— „ |
| — — | —1—80 | — | —2—50 |
| საუკეთესო | —2— „ | — | —3— „ |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ხდის. (100–7)

სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა

საკუთრივ

## სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS IARISIÉNNES'*-ის

ფირმით

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედოვნობთ, რომ ის არ დაგვეტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, ავეჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

შემთხვევით იყიდება

## ადგილი

რომელზედაც ამ ჟამად ბაღია გაშენებული და რომელიც სამოსახლოთ გამოდგება. ეს ადგილი მდებარებს წყლის-პირა ქუჩაზედ, საზაფხულო კრუჟოკთან, სიგრძით 17 საჟენი და სიგანით 50 საჟენი; შეიძლება ნაწილ-ნაწილად გაიყოს და ისე გაიყიდოს.

ფასისა და დაწვრილებით პირობების შესატყობლად მსურველს შეუძლიან მიმართოს ბ. ლიპინსკის, ელისაბეტის ქუჩაზე, სახლის № 132.

(10–7)

**ციტრატ-მაგნეზია — წყურვილის მოსაკლებლად მოიკითხეთ ინგლისის მაღაზიაში.**

(25–6)

## კანტორა

ოდესის ვაჭრის

## იაგ. ზალინოვის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჰყიდულობს და ჰყიდის, კომისიით ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებელად.

წარმომადგენელია რუსის და სამზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, აგრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.

**მურაბა** გემრიელი, კანფეტების ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე იყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**კარბოლის** პაპიროსი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისის მაღაზიაში.

(40–31)

წამოსასხმელი! წამოსასხმელი! წამოსასხმელი!!

ინგლისის მაღაზიაში 3 მანეთად 25 კაპეიკად!

წინდები და ჩულქები დუჟინი 2 მანეთიდამ!

(30–29)

## გაყიდვა

სხვა-და-სხვა ხარისხის ფქვილისა ოდესის საორთქლო წისქვილიდამ

## ძმათა ანატრათა

საწყობი იმყოფება:

1) პოპოვის სახლში № 13, ავჭალის ქუჩაზე.

2) თამამშევის სახლში ბარონის ქუჩაზე.

(3–3)


Дозволено цензурою. Тифлисъ 12 Августа 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი